პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 49 (5339)
1975 წ. 11 მარტი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

შევიტანოთ ჩვენი წვლილი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულებაში!

• • •

ჩამორჩენას ვერ გავამართლებთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებმა მშრომელებს დიდი ამოცანები დაუსახა: უფრო აქტიურად იბრძოლონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისთვის, ჩამორჩენილ ორგანიზაციებში კონტროლისა და შემოწმების გზით გამოასწორონ ნაკლოვანებები, მოწინავე ორგანიზაციებში კი წინ აღუდგნენ გაყოყოჩებას.

ძველი დრო წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ნაკლოვანებათა მხილებისა აღარავის ეშინია. XIV პლენუმიდან ოთხიოდე თვე გავიდა და აი, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ რესპუბლიკის მშრომელებს მისცა ახალი დავალებანი, რომელთა შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ განათლების, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებსაც. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ყველას განსაკუთრებით ბევრს გვავალებს.

რესპუბლიკის მშრომელები მართალი არიან, როცა ჩვენს სპორტსმენებს პოზიციების დათმობას საყვედურობენ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში საქართველო მუდამ იყო და არის სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს შორის, ფიზკულტურასა და სპორტში კი საგრძნობლად ჩამოვრჩით. დასამალი როდია, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში ახალგაზრდები ვეტერანთა ტრადიციებს ვეღარ განაგრძობენ. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ამიტომაც დავთმეთ პოზიციები.

მარცხს ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ჩამორჩენის გამართლება არ შეიძლება. თუ წინ ვერ წავიდოდით, მონაპოვარი მაინც უნდა შეგვენარჩუნებინა.

ახლა ჩვენი, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ვალია გარჯით, მონდომებული შრომით გავაუმჯობესოთ უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა, რესპუბლიკის გუნდების, სპორტსმენების ტექნიკური მაჩვენებლები, გავამრავლოთ წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, ვინაიდან ვიცით, რომ სპორტულ ბრძოლებში მოპოვებული მიღწევები შრომის ნაყოფიერების ზრდაზეც დადებითად მოქმედებს.

ე. გოკიელი,
თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

გამარჯვების სიტყვას ვიტყვით

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივს წლეულს, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, დიდი და საპატიო ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — შარშანდელთან შედარებით 3 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვას. გარდა ამისა, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ კიროველებმა ახალი ვალდებულება აიღეს — გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ 30 ათასი მანეთის პროდუქცია, მომხმარებელს გაუგზავნონ 20 ზედმეტი ჩარხი, კიდევ უფრო შეამცირონ შრომითი დანახარჯები, დაზოგონ ასობით ტონა ლითონი.

კიროველები ისე [illegible] ივალდებულებენ, თუ ყველა შესაძლებლობა წინასწარ არ განჭვრიტეს, ხოლო თუ იკისრეს, შეასრულებენ კიდეც პირობას. მათი სურვილია თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკური აქტივის კრების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში — გეგმის გადაჭარბებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში.

ჩვენი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის [illegible] ტრადიციები თავის დროზე საქვეყნოდ იყო ცნობილი. მერე ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებმა ბაზები დააზიანა. ამას ფიზკულტურასა და სპორტში პოზიციების დათმობა მოჰყვა, მაგრამ ახლა მდგომარეობა ამ მხრივაც გამოსწორდა. გვჯერა, სპორტკლუბი „გამარჯვება" კიდევ იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენი ქარხნის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს განზრახული გვაქვს პირველი გამარჯვების სიტყვა შრომის ყველა უბანზე ვთქვათ: ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქარხნის საწარმოო გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებაში. ამავე დროს, ვიბრძოლებთ „გამარჯვების" სპორტული ტრადიციების აღდგენისთვის, რათა ქარხნის სხვა მუშა-მოსამსახურეებს მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში წარმატებების მოპოვებით შრომის მეტი ხალისი მივცეთ.

ეჭვი არ მეპარება, რომ მოწინავე მუშა-სპორტსმენები: ამწყობები რ. ორაგველიძე და ვ. ცომაია, ზეინკალი ტ. იანვარაშვილი, მბურღავი ვ. ტურანოსოვი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებენ, ფიზკულტურული კოლექტივის სხვა 1400-ზე მეტ წევრთან ერთად ძალ-ღონეს არ დაზოგავენ ქარხნის მიერ ნაკისრი გეგმა-ვალდებულებების შესრულებისთვის.

ჯ. ლომიძე,
მლესავი, სპორტის ოსტატი ჭიდაობაში.

როგორც სჩვევია

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

...სამხტომელთა შეჯიბრებაში ბოლო ცდის წინ პოლონელი მ. იოახიმოვსკი ლიდერობდა (16,90 მ), მაგრამ ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. სანეევმა სწორედ ბოლო ცდაზე, როგორც სჩვევია, გამარჯვების მომტანი ნახტომი გააკეთა — 17,01 მეტრი გადალახა და მეოთხედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ეს დუელი ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი იყო ევროპის ზამთრის ჩემპიონატისა, რომელიც 8-9 მარტს პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს დარბაზში ჩატარდა.

ასევე საინტერესო გამოდგა 60 მეტრზე მორბენალ ვაჟთა ფინალური შეჯიბრება. ორგზის ოლიმპიურმა ოქროს მედალოსანმა, კიეველმა ვ. ბორზოვმა და 20 წლის ლენინგრადელმა ა. აქსინინმა მეტოქეებს ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. მათს ბრძოლაში კი ბორზოვმა, რომელმაც 6,59 წამი აჩვენა, ახალგაზრდა მეტოქეს ფინიშთან 0,01 წამით მიასწრო.

სსრ კავშირის ათლეტებმა ამ ჩემპიონატში მესამე გამარჯვება 4×1 წრეზე ქალთა ესტაფეტაში მოიპოვეს — 2.26,1. ზემოჩამოთვლილი ჯილდოების გარდა მათ კატოვიცეში კიდევ 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოიგეს.

შეჯიბრებამ სხვა სოციალისტური ქვეყნების მძლეოსანთა მზარდი ოსტატობაც გამოავლინა. ბირთვის მკვრელ ქალთა შეჯიბრებაში ნ. ჩიჟოვა არ მონაწილეობდა. ამან მ. ადამს (გდრ) შედარებით იოლი გამარჯვებისკენ გაუხსნა გზა, ვინაიდან მისი ერთადერთი საშიში მეტოქე ამჯერად მსოფლიო რეკორდსმენი, ბულგარელი ჰ. ფიბინგეროვა იყო. ადამის საბოლოო შედეგია 20,05 მ.

თბილისელი სპორტის მოყვარულებისთვის კარგად ცნობილმა ვ. მალიმ (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც შარშანწინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შეჯიბრება მოიგო, ახლა აქ ისახელა თავი — 221 სმ სიმაღლე დაძლია და ჩემპიონი გახდა. ხუთმა სპორტსმენმა 219 სმ გადალახა. მინსკელი ა. გრიგორიევი IV ადგილზე გავიდა.

ქალთა შორის 60 მეტრზე თარჯრბენში პოლონელმა გ. რაბშტინმა მსოფლიო რეკორდსმენი ა. ერჰარდიც (გდრ) კი დაამარცხა. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ეს ერჰარდის პირველი წაგებაა. III ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ტ. ანისიმოვამ.

სიგრძეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა დ. კატენიანუმ (რუმინეთი) — 631 სმ. მოსკოველი ლ. ალფეევა მას 2 სანტიმეტრით ჩამორჩა და ვერცხლის ჯილდო მიიღო.

ჩემპიონატში 25 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სურათზე: ვ. სანეევი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

წარმატებებით ვუპასუხებ

ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა წარმატებები ამ ბოლო ხანს კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის. მაგრამ დასამალი როდია, რომ ეს გამარჯვებები მნიშვნელოვანწილად რესპუბლიკის გარეთაა მოპოვებული და, ბუნებრივია, ჩვენი მომთხოვნი მაყურებელი მათ ისე ვერ აღიქვამს, როგორც უშუალოდ ასპარეზობის მხილველი. ეს ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ბადებს. ამის მიუხედავად, ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ უამრავ წერილში, რომლებსაც რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ვღებულობ, გულშემატკივართა დიდი სიყვარული და სითბო იგრძნობა.

წლეულს ბევრი შეჯიბრება მელის. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა.

ვეცდები ჩემს გულშემატკივრებს იმედები არ გავუწბილო.

ნ. დრონოვა,
სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ქალთა დღეს მიეძღვნა

საღამო თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის და სპორტის კათედრის გამგემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ელენე გოკიელმა გახსნა. მან თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეკრებილთ, ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღესასწაული — 8 მარტი, უსურვა წარმატებანი შრომასა და სპორტში.

რესპუბლიკის ფიზკულტურელ ქალთა ამ საზეიმო საღამოზე სიტყვით გამოსულებმა — ჩოგბურთში სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. ლდიაშვილმა, სპორტის ოსტატმა ა. ივახოვამ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მ. ჩიბურდანიძემ, ჭადრაკის სასახლის დირექტორმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ, თბილისის კალინინის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გაჩეჩილაძემ, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ზაზროევმა ილაპარაკეს სამამულო სპორტის განვითარებაში საქართველოს სპორტსმენ ქალთა დამსახურებაზე და იმ ამოცანებზე, რომლებსაც მათს წინაშე აყენებს დღევანდელობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში რესპუბლიკაში არსებული ნეგატიური მოვლენების, მექრთამეობის, პროტექციონიზმის, კრიტიკის ჩახშობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისთვის გატარებული ღონისძიებანი.

ორატორები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილება რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი, საქართველოს ამასწინანდელი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ვალდებულებანი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს, ისევე როგორც ყველა მშრომელს, ავალებს მთელი ძალები მოახმარონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა დროულად შესრულებას.

აქტივმა სპორტსმენებს ამოცანად ისიც დაუსახა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, სხვა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვონ, ვიდრე ბოლო წლებში.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სარქის სარხოიანი — ორგზის ჩემპიონი

ლვოვი, 7 მარტი. აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის XXV ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

ჩემპიონები გახდნენ: ერთეულთა თანრიგში — ტატიანა ფერდმანი და ბაგრატ ბურნაზიანი; წყვილებში — ტატიანა ფერდმანი და ელმირა ანტონიანი, სტანისლავ გომოზკოვი და სარქის სარხოიანი, რიტა პოღოსოვა და სარქის სარხოიანი.

მოკლედ

ლენინგრადი, 9 მარტი. წუხელ აქ მიმდინარე შეჯიბრების პირველივე დღეს სამი მსოფლიო რეკორდი დაეცა. ერევნელმა სპორტსმენმა, 20 წლის შ. კარაპეტიანმა 50 მეტრზე ფარფლებით ცურვაში 16,6 წამი აჩვენა, მანვე 400 მეტრზე აკვალანგით შეჯიბრებაში თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — 3.18,2, ხოლო მინსკელმა ქალმა ი. ბურიმ 25 მეტრი ფარფლებით 8,8 წამში გაცურა.

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

ფიზკულტურა და სპორტი — დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე!

ეს საკითხები ყველას გვაწუხებს
როდის გატყდება ყამირი?

აგერ უკვე მერამდენე წელია ბაკურიანი სსრ კავშირის მოთხილამურეთა ნაკრების მზადების ცენტრად გადაიქცა. მისი როლი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც მწყობრში ჩადგა ახალი საცხოვრებელი შენობები, ტრამპლინები, სამთო და საციგაო ტრასები, რბოლის დისტანციები, საბაგირო გზები... ჩვენ ვამაყობთ საქართველოს ამ „თეთრი მარგალიტით“ და ეს სიამაყე უფრო მატულობს, როცა ბაკურიანის მომავალს ვეცნობით, როცა ვგებულობთ, რომ უახლოეს წლებში აქ უნდა აშენდეს ახალი სასტუმროები, სპორტული ნაგებობანი.

უკვე კარგა ხანია სსრ კავშირის ნაკრების წევრები — მოზარდები და იუნიორები — სათხილამურო რბოლებში, ტრამპლინიდან ხტომაში, ორჭიდში, ბიატლონში დიდი საერთაშორისო ტურნირების, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების საგზურებს სწორედ ბაკურიანში ინაწილებენ. ასე იყო საპოროს ოლიმპიადის წელს, ასე იყო შარშან, ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ასე იყო წლეულსაც ინსბრუკის წინაოლიმპიური კვირეულისა და ბიატლონისტთა მსოფლიო პირველობის დაწყებამდე. რა თქმა უნდა, ინსბრუკის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად საბჭოთა ნაკრების კანდიდატები გაისადაც ბაკურიანის „თეთრ ბილიკებზე“ იბრძოლებენ. ეს უკვე გადაწყვეტილია.

ის, რომ სსრ კავშირის მოთხილამურეთა ნაკრების კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ბაკურიანს დაევალა, შემთხვევითი როდია. საქართველოს „თეთრმა მარგალიტმა“ ეს უფლება მოიპოვა შესანიშნავი ბუნებით, თითქმის უმტყუნო უხვი თოვლით და სიმაღლით. აქ ჩატარებული შეკრება-ვარჯიშების შემდეგ მოთხილამურეებს სხვაგან ბრძოლა ბევრად უადვილდებათ.

მაგრამ განა ისეა მოწყობილი ბაკურიანი, რომ აქ საასპარეზოდ თუ სავარჯიშოდ ჩამოსულ სპორტსმენებსა და გუნდებს ყოველმხრივ იდეალური პირობები აქვთ, განა აღარაფერია გასაკეთებელი? ვითომ აქ ჩამოსული ყველა ასაკისა და კვალიფიკაციის სპორტსმენები, ყველა სახეობის მოყვარულები ერთნაირად კმაყოფილი რჩებიან?

პასუხი ამ შეკითხვებზე ერთნაირად აინტერესებთ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რსფსრ-ს თითქმის ყველა კუთხიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და სხვა თოვლიანი რაიონებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს; აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის მოყვარულებს, რომლებიც თითქმის ოთხი ათეული წელია ელიან ბაკურიანის ყოველმხრივ კეთილმოწყობილ სათხილამურო ბაზად გადაქცევას.

სწორედ ბაკურიანში ჩატარდა შეჯიბრებები სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სახეობაში. მაშინ ამ დაბის ორმა მკვიდრმა დაიმშვენა მკერდი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლით — „მფრინავმა მოთხილამურემ“ კ. წაქაძემ და სამთომოთხილამურემ ი. ჯანგობეგოვმა, ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე სამთომოთხილამურე კი უძლიერესთა ათეულში მოხვდა და სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა.

I სპარტაკიადის მერე დიდი დრო გავიდა. ბაკურიანმა მართლაც საგრძნობლად შეიცვალა სახე. პიწკალოს მთის ძნელად მისადგომმა ტრამპლინებმა კოხტაგორის ჩრდილო ფერდობზე „ჩამოინაცვლა“. ძველი, ნახევრად პრიმიტიული 80- და 40-მეტრიანი ტრამპლინების მაგიერ აქ საბაგირო გზით თითქმის უნაკლოდ აღჭურვილი 90- და 70-მეტრიანი ბაზები აიგო. მათი კეთილმოწყობაც ალბათ მალე დამთავრდება. ბაკურიანში შარშან მწყობრში ჩადგა სწრაფდაშვების სპეციალური ტრასა, მალე მზად იქნება საციგაო სარბიელი.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის მერე ბაკურიანში იასპარეზეს ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, გდრ-ის, ფინეთის, ნორვეგიის, შვეციის, გფრ-ის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ავსტრიის სამთომოთხილამურეებმა და „მფრინავმა მოთხილამურეებმა“. აქ იყვნენ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები, ხშირად ჩამოდიან ტექნიკური კომისრები. ყველას მოსწონს ბაკურიანის ტრასები, ტრამპლინები. რაც მთავარია, მათი აზრით, ბაკურიანში სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის უდიდესი შესაძლებლობები არსებობს. ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე ხომ უკვე მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყოველწლიურ კალენდარში.

შარშან მარტში ბაკურიანში უნაკლოდ ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ზოგიერთ სახეობაში, რამაც დაადასტურა, რომ ჩვენს რესპუბლიკას უფრო დიდი ღონისძიებების გამართვაც თამამად შეუძლია. უცხოელი სპეციალისტები არ შემცდარან, როცა შარშანწინ განაცხადეს: ბაკურიანში ოლიმპიური თამაშების ჩატარებაც კი ადვილი შესაძლებელიაო.

ჩვენი რესპუბლიკის ცნობილ სამთო კურორტს არც წლეულს შეურცხვენია თავი — თოვლი და მზე ახლაც უხვად იყო ხტომაში საერთაშორისო შეჯიბრების, საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადის, საკავშირო თასების გათამაშების, საქართველოს ჩემპიონატის დროს.

ყველა შეჯიბრების შესახებ თავის დროზე დაიწერა „ლელოს“ ფურცლებზე. ახლა ბაკურიანში მიმდინარეობს სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშებისა და ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „ლელოს“ პრიზზე, მაგრამ მაინც შეიძლება ვიმსჯელოთ ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგების, ბაკურიანის ბაზების, საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებაში უკან დახევის მიზეზების შესახებ.

რა თქმა უნდა, ის, რაც ბოლო წლებში ბაკურიანში გაკეთდა, ყველას გვახარებს, მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რა უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა, რატომ ჩამორჩა რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარების დონე ბაკურიანში ბაზების ქსელის ზრდის ისედაც ნელ ტემპს, რატომ ჩამოვრჩით სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში I სპარტაკიადასთან შედარებით (ბოლო სპარტაკიადაში მხოლოდ ერთი ჩემპიონი გვყავდა — მ. გავა).

რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარების დაბალ დონეს ბევრი მიზეზი აქვს და, რაც მალე გამოსწორდება ეს ნაკლოვანებები, მით უკეთესი.

მაშ შევეცადოთ იმ მიზეზების გაანალიზებას, რაც ხელს უშლის ჩვენი ნაკრები გუნდების წევრთა შერჩევას, მათს დაოსტატებას, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ და უფრო ფართოდ გაშლას.

ალბათ ბევრს ახსოვს ორი ათეული წლის წინათ ბაკურიანის განაშენიანების გენერალური გეგმა რომ შედგა. ამ გეგმის მიხედვით უნდა აგებულიყო ტრამპლინები, სამთო, სარბენი, საციგაო ტრასები, საციგურაო, დარბაზი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! გეგმით გათვალისწინებული იყო ბაკურიანის მთლიანი რეკონსტრუქცია, ქუჩებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გაკეთებით კი ცოტა რამ გაკეთდა: მოეწყო 70- და 90-მეტრიანი ტრამპლინები, სწრაფდაშვების ტრასა, წრიული გზატკეცილი, აიგო რამდენიმე ბაზა, ზოგი რამ გაკეთდა დაბის რეკონსტრუქციისთვის. ეს იყო და ეს.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში „ლელო“ არაერთხელ წერდა ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენის, გეოლოგების პიონერთა ბანაკის, საციგაო ტრასის, ტრამპლინების და სხვა ობიექტების მშენებლობისა თუ კეთილმოწყობის სამუშაოების გაჭიანურების შესახებ. სპარტაკიადას უკვალოდ არ ჩაუვლია — ბაკურიანს ბევრი რამ მართლაც შეემატა, მაგრამ ახალი გეგმის დიდი ნაწილი მაინც შეუსრულებელი დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ეს სამუშაოები შარშან ზაფხულში დამთავრდებოდა.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ვიდრე დრო იყო, არც ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენის მშენებლობა მოაგონებია ვინმეს, არც საციგაო ტრასა, არც მეწყერისგან ჩამოქცეული ტრამპლინის გამაგრება. წლევანდელ ზამთარს ბაკურიანი ისევ წყლის ნაკლებობით, გაუმართავი საციგაო ტრასით, კეთილმოუწყობელი გეოლოგების ბანაკითა და ტრამპლინებით შეხვდა (მუშაობა 70-მეტრიანი ტრამპლინის გასამაგრებლად და საციგაო ტრასის დასამთავრებლად დღესაც გრძელდება). მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ მშენებლობა მესამე, შედარებით პატარა ტრამპლინისა, რომელიც უკვე არსებული ბაზების გვერდით შარშან უნდა ჩამდგარიყო მწყობრში (ზაფხულობით იგი ხელოვნური საფარით უნდა დაიფაროს), ჯერ არც კი დაუწყიათ.

აი, პირველი მიზეზი, რაც საქართველოში „მფრინავ მოთხილამურეთა“ აღზრდას აფერხებს. უამტრამპლინოდ ბაკურიანის „დინამოს“ სპეციალიზებული სპორტსკოლის, სულ ცოტა, ორი ათეული მოსწავლე 70- და 90-მეტრიან ბაზებზე სავარჯიშოდ ვერ გადავა. რაც უფრო გაჭიანურდება ახალი ტრამპლინის აგება, მით უფრო გვიან გამოჩნდებიან სარბიელზე კ. წაქაძისა და მ. გავას შემცვლელები.

საციგაო სპორტი სსრ კავშირში საერთოდ ახალი სახეობაა. ბაკურიანელმა მწვრთნელმა ა. ქუმარიტაშვილმა ამ სახეობაში საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები აღზარდა, რომლებიც ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ, მაგრამ მათი დაოსტატების სწორი გზა ვეღარ მოიძებნა. ამირან, ვაჟა, თამაზ და ფელიქს ქუმარიტაშვილები, გ. უგრელიძე, რ. გურეშიძე, თ. თედიაშვილი, ზ. კოპაძე და სხვები, შეიძლება ითქვას, ბედის ანაბარად არიან მიტოვებული, ვინაიდან ბაკურიანის ტრასას ამ ზამთარში ალბათ სულ ათი დღეც არ უმუშავია. ჯერ იყო და საშველი არ დაადგა ტრასის გაყინვას. ამიტომ საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კინაღამ ჩაიშალა, იუნიორთა საკავშირო პირველობა კი რის ვაი-ვაგლახით ჩატარდა.

საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრების წევრებმა თითქმის ოცდღიანი შეკრება ბაკურიანში ისე გაატარეს, რომ ტრასაზე ერთხელაც არ უვარჯიშიათ და ნურავის გაუკვირდება, თუ ზრატსკიდან ისინი მაინცდამაინც დიდი ნადავლით ვერ დაბრუნდნენ.

აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ტრასის უხეირობა, მისი მშენებლობის გაჭიანურება და აღჭურვა ამ სახეობაში ახალი ძალების ჩაბმასაც აფერხებს. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენი საუკეთესო მოციგავეებიც კი ინვენტარით სანახევროდაც არ არიან უზრუნველყოფილი (ეს სხვა სახეობებსაც ეხება), სურათი კიდევ უფრო ნათელი იქნება. ესეც ჩამორჩენის მეორე მიზეზი.

ძლიერი სპორტსმენების მომზადების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათთვის წვრთნის სათანადო პირობების შექმნა და შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება. საქართველოს მოთხილამურეები ამ შესაძლებლობებს მოკლებული არიან. გავიხსენოთ ერთი უბრალო ფაქტი. საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადის დამთავრებისთანავე შეიქმნა ნაკრები, რომელსაც საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ოცდღიანი ციკლი ბაკურიანში უნდა გაევლო. მაგრამ სპორტსმენებისთვის ბინა დაბის არც ერთ ბაზაში არ აღმოჩნდა — არც საქართველოს სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატში (იგი სსრ კავშირის თასების გათამაშებათა მონაწილე სპორტსაზოგადოებებისა და ქვეყნის ნაკრების წევრებს, აგრეთვე, დასასვენებლად ამოსულ კერძო პირებს დაუთმეს), არც „ბურევესტნიკში“, არც ტურბაზასა და „დინამოში“... შეკრებაზე მყოფ მოთხილამურეთა უმეტესობა შინ გაისტუმრეს და, ცხადია, მათ წვრთნაში ხელი შეეშალათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს ვერც ერთმა მოთხილამურემ საკავშირო თასების გათამაშების დროს საიმედო შედეგი ვერ მოიპოვა, პროფკავშირთა ზამთრის VIII საკავშირო სპარტაკიადიდან კი თითქმის ხელცარიელი დაბრუნდნენ.

რაც შეეხება შეჯიბრებათა ორგანიზაციას, წლეულს იგი უწინდელზე აშკარად მაღლა იდგა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით მსაჯთა კოლეგიებსა და საქართველოს სპორტკომიტეტის ბაკურიანის სპორტნაგებობათა სამმართველოს, რომელმაც ტრასების, სარბიელების, სტარტისა და ფინიშის, საკონტროლო წერტილების მოწყობისა და ინფორმაციის მოგვარებისთვის ძალ-ღონე არ დაზოგა. მაგრამ სამმართველო ჯერ კიდევ ვერ დგას მტკიცედ ფეხზე. თოვლზე მავალებისთვის საწვავი მუდამ არ ყოფნით, აკლიათ ტექნიკა, ინვენტარი, კაბელი, მუშახელი. სამმართველოს განკარგულებაში აუცილებლად უნდა იყოს ავტობუსები და საბარგო მანქანები, ტექნიკა.

საქართველოს მოთხილამურეთა ჩემპიონატმა პირდაპირ სავალალო ფაქტების წინაშე დაგვაყენა. იყო დრო, რესპუბლიკურ ღონისძიებებში აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ყაზბეგის, ლენტეხის, ახალქალაქის, ახალციხის, ონის, ამბროლაურის გუნდებიც მონაწილეობდნენ. წლეულს არც ერთს ბაკურიანში გუნდების გამოგზავნით თავი არ შეუწუხებია. სახსრები არ გვყოფნისო, ამბობდნენ. იქნებ ბორჯომის, მესტიის, დუშეთის, ბოგდანოვკის, ცაგერის რაიონების კომიტეტებს უფრო დიდი ბიუჯეტი აქვთ? ცხადია, რაიონებში ფიზკულტურის კომიტეტების ბიუჯეტი გადასინჯვას მართლაც საჭიროებს, მაგრამ ეს ამჟამად თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. მთავარია მოუხდომელობა, სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის უზრუნველობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლას სათხილამურო სპორტის ასობით ჯგუფი აქვთ გახსნილი რესპუბლიკაში, შედეგი კი თითქმის არ ჩანს. ბევრისათვის ეს ჯგუფები საწველ ფურად გადაიქცა. მწვრთნელები ჯგუფების ხელმძღვანელობისთვის საკმაო გასამრჯელოს იღებენ, პროდუქციას კი არ იძლევიან. ასეთი მწვრთნელ-მასწავლებლები საქმეს უნდა ჩამოვაშოროთ, ადგილი უნდა დავუთმოთ გამრჯე, საქმის მოყვარულ სპეციალისტებს. გარდა ამისა, ჯგუფების ხელახლა განაწილებისა და გამრავლების გარეშე ფონს იოლად ვერ გავალთ.

იმ თოვლიან რაიონებში, რომლებიც პროდუქციასაც იძლევიან, სათხილამურო ჯგუფები დამატებით უნდა გაიხსნას. ბოგდანოვკის რაიონში ორიოდე წელია უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მხოლოდ ორი ჯგუფი მუშაობს. ამ ჯგუფების ხელმძღვანელებმა ი. პრიამორუკოვმა და ფ. ტროფიმენკოვმა ჩემპიონატში მორბენალთა ძლიერი გუნდი გამოიყვანეს და ბევრ ფავორიტს აჯობეს, დებმა ვასილენკოვებმა კი, რომლებიც რესპუბლიკურ ასპარეზობაში წლეულს პირველად მონაწილეობდნენ, ყველა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილების მოპოვება შეძლეს.

— სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება თუ შეიძლება თქვენს რაიონში? — ვკითხე პრიამორუკოვს.

— როგორ არა, მაგრამ სპეციალისტები არა გვყავს. ვინმე რომ ჩამოვიდოდეს სამუშაოდ. არც ამ სახეობაში შევირცხვენდით თავს.

განათლების სამინისტროს მხოლოდ ორი ჯგუფი აქვს დუშეთის რაიონში — ქვეშეთის საშუალო და კაიშაურნის რვაწლიან სკოლებთან. დუშეთის რაიონმა სწორედ ამ ორი ჯგუფის ხარჯზე შეძლო საქართველოს ჩემპიონატში თავისი წარმომადგენლების გამოგზავნა.

ამრიგად, ჯგუფების სიმცირე, მწვრთნელ-მასწავლებელთა უგულისყურობა და სპეციალისტების უკმარობა რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია.

მაგრამ მთავარი მაინც ბაზები და ინვენტარია. ამ მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, თოვლიანი რაიონების ხელმძღვანელები კი შექმნილი ვითარების გამოსწორებისთვის არაფერს აკეთებენ.

თავის დროზე საკმაოდ გახმაურდა ის ამბავი, რომ თბილისში დასადგმელად ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი შემოიტანეს. როცა ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ საქმეს თავი ვერ მოაბა, ტრამპლინი მესტიის რაიონს გადაეცა, მაგრამ არც ამ რაიონის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება: ძვირად ღირებული ტრამპლინი მწყობრიდან ისე გამოვიდა, დადგმას ვერ ეღირსა. მესტიაში ამ ტრამპლინის ბედს იზიარებს 250-მეტრიანი ჩეხოსლოვაკიური წარმოების საბაგირო გზა, რომლის მონტაჟსაც მესამე წელია საშველი არ დაადგა.

ზემოაღნიშნული ხარვეზები და სპორტული ინვენტარის დიდი ნაკლებობა რომ არა, მესტიის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის მეორე სათხილამურო ცენტრად გადაიქცეოდა და ძლიერ სპორტსმენებსაც მოგვცემდა. ახლა კი იქ განათლების სამინისტროს ხუთი და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ერთი ჯგუფი მუშაობს, მაშინ, როცა ამ რაიონის 12 საშუალო და 25 რვაწლიან სკოლას სათხილამურო სპორტში რეგულარულად მეცადინეობისთვის ბუნებრივი პირობები ყოველმხრივ ხელს უწყობს.

დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის მიდამოებში მწყობრში ჩადგა საბაგირო გზა, მაგრამ ამ რაიონის წარმომადგენლები მას ვერ იყენებენ, ვინაიდან სამთოსათხილამურო ინვენტარი არ გააჩნიათ. საბაგირო გზას შაბათ-კვირას ისევ თბილისიდან მოსული მოზარდები თუ ამუშავებენ ხოლმე. დუშელებს, ისევე როგორც ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და სხვა თოვლიანი რაიონების ფიზკულტურელებს სათხილამურო სპორტში მეცადინეობის პირობები გადაჭრით უნდა გაუუმჯობესდეთ. მოზარდები პორტატული გზებით, ტრამპლინებით, ინვენტარით უნდა უზრუნველვყოთ, თორემ სხვაგვარად რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საქართველოში განა მარტო ბაკურიანშია სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის საჭირო ბუნებრივი პირობები. ამ სახეობების დანერგვა შეიძლება მესტიის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ყაზბეგისა და სხვა რაიონებშიც, ოღონდ ყამირის გატეხვაა საჭირო.

დასასრულ, წინ ვერ წავალთ, თუ სპორტკომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები და უწყებები სადათას ძილიდან არ გამოფხიზლდებიან და სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის გადამჭრელ ღონისძიებებს არ გაატარებენ.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი — თბილისი.

რედაქციისგან: ამ წერილში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვერკვია რესპუბლიკაში ზამთრის სახეობათა ჩამორჩენის ზოგიერთი მიზეზი, მაგრამ ალბათ კიდევ ბევრი რამ უთქმელი დაგვრჩა. ვიმედოვნებთ, რომ სპეციალისტები, მწვრთნელები, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების წარმომადგენლები, სპორტსმენები დღევანდელ ჩვენს წერილს გულდასმით წაიკითხავენ და აქტიურად ჩაებმებიან დისკუსიაში საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების შემაფერხებელ მიზეზთა შესახებ, მოგვაწვდიან თავიანთ წინადადებებს, მოსაზრებებს. გაზეთი მუდამ სიამოვნებით გამოაქვეყნებს მათს საქმიან წერილებს.

ქვეშელთა უპირატესობით

სოფელ მლაშის მახლობლად ჩატარდა დუშეთის რაიონის მოსწავლეთა პირველობა სათხილამურო სპორტში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე უკეთ ქვეშელებმა იასპარეზეს. II ადგილზე გავიდნენ მლაროსკარელები, III — მჭადიჯვრელი სპორტსმენები.

1963 წელს დაბადებულ გოგონებს შორის 1 კილომეტრზე რბენა მოიგო კაიშაურნის რვაწლიანი სკოლის მოსწავლემ მ. ჯალმაიძემ. 2 კილომეტრზე რბენაში 1960-61 წლებში დაბადებულთა შორის ყველას ქვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ზაქაიძემ აჯობა, 11-12 წლის ასაკის მორბენალთა შორის — მლაროსკარელმა ნ. მახაურმა. 15-16 წლის სპორტსმენებში უძლიერესი იყო ქვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. შარმაიძე.

ჭაბუკები 3 კილომეტრზე დარბოდნენ. 13-14 წლის მოზარდებში პირველობა მოიგო კაიშაურნის რვაწლიანი სკოლის მოსწავლემ ნ. ზაქაიძემ, 15-16 წლის მონაწილეებიდან კი ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ქვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ა. ზაქაიძე.

ც. კბილცეცხლაშვილი.

დუშეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენდება ახალი კომპლექსი

სპორტანით დაფარული 4-ბილიკიანი მძლეოსნური მანეჟის გარშემოწერილობა 200 მეტრია. აქვეა ხტომის სექტორი — სიგრძეზე, სიმაღლეზე, სამხტომელთა და ჭოკით მხტომელთა სარბიელი. ერთი ნაწილი ბირთვის მკვრელთათვის დაუთმიათ, მეორე — თარჯმორბენლებისთვის. მოედანზე ერთდროულად მძლეოსნობის 17 სახეობაში შეიძლება ვარჯიში. მწვრთნელი სპეციალური პულტიდან ადევნებს თვალყურს სპორტსმენთა ვარჯიშს და მორბენლებს გასავითარებელ სისწრაფეს შუქლიდერით უკარნახებს (შუქლიდერი — ელექტროშუქი — ბილიკზე წინ მიუძღვის მორბენალს. სისწრაფეს მწვრთნელი არეგულირებს).

აქვეა კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და მწვრთნელთა ოთახები. სპორტსმენთა სამსახურშია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი საექიმო დისპანსერი, მეთოდური კაბინეტები, კინოლაბორატორია, სადაც მძლეოსნებს საშუალება აქვთ ცხადად დაინახონ თავიანთი ყოველი ნაკლი და მიღწევა, შეისწავლონ მსოფლიოს გამოჩენილ ოსტატთა ტექნიკა.

აქვე მოწყობილ მძლეოსნობის მუზეუმში გამოფენილია სახელოვან სპორტსმენთა პორტრეტები, მათი ასპარეზობის ამსახველი სურათები, სხვა საინტერესო ექსპონატები.

სპორტსმენთა დახელოვნებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისთვის 200-ადგილიან საკონფერენციო დარბაზში ლექციები ტარდება. სპორტული ინვენტარის შესაკეთებლად გახსნილია სახელოსნო.

სტუმრებსა და შეკრებაზე მოწვეულ სპორტსმენებს ფართოდ გაუღებს კარს კეთილმოწყობილი სასტუმრო. აქვეა სასადილოც...

ასეთი იქნება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობა — ზამთრის მძლეოსნური მანეჟი, რომელიც თბილისში, წერეთლის პროსპექტზე, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მიდამოებში შენდება. გეგმით, მან 1976 წლის დამლევისთვის უნდა იზეიმოს ახალსახლობა (პროექტი — „სოიუზკურორტპროექტისა", მშენებელი ორგანიზაცია — საქკურორტრემონტმშენი).

ეს მანეჟი განკუთვნილი იქნება საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლისთვის (დირექტორი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი).

ეს სკოლა 1966 წელს დაარსდა. სტრუქტურის მხრივ იგი ანალოგიური სკოლებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ 10 წლის ბავშვებს ღებულობენ. ბავშვებს საკონკურსო შეჯიბრებებზე არჩევენ. მძლეოსნობის განვითარებისთვის სხვა სახეობებსაც იყენებენ. ზაფხულობით ძირითადად „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიშობენ, ზამთარში კი, როცა უფრო მიზანშეწონილია მეტი ფიზიკური დატვირთვა, ვინაიდან სიცხეში ძალისმიერ ვარჯიშებს ვერ იყენებენ, ნათხოვარ და დაქირავებულ ბაზებზე უხდებათ სიარული, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის. ხშირად საწვრთნელ შეკრებაზე დონეცკში გზავნიან სპორტსმენებს. მიუხედავად ასეთი პირობებისა, სკოლას პერსპექტიული სპორტსმენები ჰყავს ამ სკოლის აღსაზრდელები დ. წოწკოლაური (უროს ტყორცნა) და რ. ბაირამოვი (შუბის ტყორცნა) სსრ კავშირის მოზარდთა ნაკრების წევრები არიან.

1974 წლის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირში 10 საუკეთესოს სიაში მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში ამ სკოლის 10 აღსაზრდელი მოხვდა. შარშან სკოლაში 5 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 24 პირველთანრიგოსანი სპორტსმენი მომზადდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ. ეს შეიძლება ბაზების უქონლობამაც გამოიწვია. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს პროფსაბჭოს თაოსნობით გამოიძებნა ადგილი ახალი მანეჟისთვის. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირა საკავშირო პროფსაბჭომ. კომპლექსის ასაგებად მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯება. **ახალი ბაზა საუკეთესო საჩუქარი იქნება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მძლეოსნებისთვის და უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენში ამ სახეობის შემდგომ წინსვლა-განვითარებას.**

ც. ქიმისტარიშვილი.

კალათბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ახლოვდება ფინიში

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. მოსკოვი. თბილისის დინამოელებმა მეორე მატჩიც წააგეს ადგილობრივ თანაკლუბელებთან. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 3 ქულით მოიგეს — 35:32. შესვენების შემდეგ ბრძოლა თანაბარი იყო და 3-ქულიანი სხვაობა უცვლელი დარჩა. მოსკოვის „დინამომ" გაიმარჯვა — 66:63.

კაუნასი. ადგილობრივი „ჟალგირისისა" და ვილნიუსის „სტატიბას" შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ვილნიუსელი კალათბურთელებისთვის. „სტატიბა" ერთ-ერთი აუტსაიდერია, რომელსაც აშკარად ემუქრება უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროება. ვილნიუსელებისთვის ყოველ ქულას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ჟალგირისმა" მკაცრი გამოცდა მოუწყო აუტსაიდერს და ორივეჯერ დაამარცხა. პირველ შეხვედრაში კაუნასელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო — 95.81. მეორეში „სტატიბამ" ყველაფერი იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ამაოდ. გამარჯვება „ჟალგირისს" დარჩა — 93:90 (51:50).

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო პაულაუსკასი — 26 ქულა.

კიევი. შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — ადგილობრივი „სტროიტელი" სვერდლოვსკის „ურალმაშს" ეთამაშა. პირველი მატჩი მასპინძლებმა ადვილად მოიგეს — 119:93 (62:47).

მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ ტკაჩენკო (34 ქულა) და ლუმნენკო (27).

მეორე შეხვედრაში ურალელმა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. ტაიმი „ურალმაშმა" ქულით მოიგო კიდეც — 42:41. იგი ინიციატივას ფლობდა შესვენების შემდეგაც. „სტროიტელმა" მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვა — 94:76.

კიეველთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მარტინოვმა, რომელმაც თავის კოლექტივს 20 ქულა შესძინა. ყველაზე შედეგიანი კი ამ მატჩში „ურალმაშის" ცენტრალური თავდამსხმელი მიშკინი იყო — 35 ქულა.

ტარტუ. „კალევმა" ჩემპიონატის ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე შეხვედრაში მცველები აშკარად სჯობდნენ თავდამსხმელებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პირველ მატჩში მეტოქეებმა მხოლოდ 123 ქულა აიღეს, მეორეში კი ცოტა მეტი — 141. ორივე შეხვედრა სპარტაკელებმა მოიგეს (66:57 და 76:65) და კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები სატურნირო ცხრილის თავში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ."	30	26	4	2521—2085	26
ცსკა	28	22	6	2691—2340	22
„დ." (მ.)	28	20	8	2359—2210	20
„დ." (თბ.)	28	18	10	2350—2287	18
„ჟალგ."	32	17	15	2703—2745	17
„სტროიტ."	32	13	19	2673—2680	13
„კალევი"	28	12	16	2234—2251	12
რტი	32	9	23	2342—2866	9
„სტატ."	32	9	23	2535—2789	9
„ურალ."	30	4	26	2416—2871	4

„სპარტაკ"— „ცრვენა ზვეზდა"

ბელგრადი, 7 მარტი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში (26 მარტი, ნანტი) ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდის მეტოქე იუგოსლავიის დედაქალაქის „ცრვენა ზვეზდა" იქნება. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა განმეორებითს ნახევარფინალურ თამაშში ბელგრადელებმა ანგარიშით 81:63 (36:34) სძლიეს სპლიტის „იუგოპლასტიკას".

ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მე-7 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ის, ვინც ექვსი ნომერი გამოიცნო, 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1879 მანეთია, ოთხისთვის — 32, სამისთვის — 3 მანეთი.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2891 მანეთია, ოთხისთვის — 59, სამისთვის — 3 მანეთი.

მოგებული თანხა გაიცემა 16 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი მოეწყობა 12 მარტს. (საკდესი).

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

ალექსანდრია — ლევიტინა

8:8

მოსკოვი, 9 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დიდ დარბაზში შედგა ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტინას მატჩის XVI პარტია, ანუ დამატებითი პაექრობის მეოთხე შეხვედრა.

ბრძოლა მწვავე ფრანგული დაცვით დაიწყო. იგი ალექსანდრიამ აირჩია, მაგრამ მალე თამაშმა პოზიციური ხასიათი მიიღო. როცა მეტოქეებმა ფიგურების განვითარება დაამთავრეს, ნათელი შეიქნა, რომ ისინი უფრო უსაფრთხოებისთვის ზრუნავდნენ, ვიდრე იერიშის განვითარებისთვის. როგორც კი ალექსანდრიამ მეტოქეს თეთრუჯრედოვანი კუ გაუცვალა, ლევიტინამ მეორე კუც გააცვლევინა. მათ მხედრები მიჰყვა და თამაში სავსებით გათანაბრდა. დასკვნით პოზიციაში, რომელშიც მეტოქენი დაზავდნენ, მძიმე ფიგურებიღა იყო დარჩენილი.

გთავაზობთ XVI პარტიას:

ლევიტინა — ალექსანდრია

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 მc6 4. მgf3 მf6 5. e5 მd7 6. კd3 მb4 7. კe2 c5 8. c3 მc6 9. 0—0 cd 10. cd f6 11. ef მ:f6 12. მb3 კd6 13. კg5 0—0 14. კh4 კd7 15. კd3 ლb6 16. ლe2 მb4 17. მe5 მ:d3 18. მ:d3 ეae8 19. კg3 კ:g3 20. hg მe4 21. მbc5 მ:c5 22. dc ლa6 23. ეfd1 კb5 24. ლe3 კ:d3. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 8:8. XVII პარტია 11 მარტს გათამაშდება.

გ. მაჭავარიანი.

30
თქვენი სვლა, მკითხველო!

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო კონკურსი

კონკურსის III ტურის მოცემულობათა (იხ. „ლელო" № 38) ამოხსნაში 150-ზე მეტმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა.

გთავაზობთ მოცემულობათა ამოხსნებსა და ლიდერთა გვარებს.

ამოცანა № 3. ავტორი — ი. პაპუჩეკი (ჩეხოსლოვაკია). ამოხსნა: 1. ლh8. 1. ... კ:d6 2. ლh8; 1. ... f3 2. ეd2+; 1. ... g2 2. ეh6+.

ეტიუდი № 3. ავტორი — საერთაშორისო ოსტატი გ. ნადარეიშვილი (თბილისი). ამოხსნა: 1. მf6 კ:f6 2. b6 e2 3. b7 კe5 4. e7 e1ლ (4. ... კb8+ 5. მფa8! e1ლ 6. e8ლ ლ:e8 პატი) 5. e8ლ კd4+ 6. მფ:a6 ლ:e8 7. b8ლ+ ლ:b8. პატი.

III ტურის შემდეგ 21-21 ქულით ლიდერობენ: ი. ასათიანი (მოსკოვი), ნატო ბაღაშვილი, მ. ბუთბაია, ი. ბაჩაკაშვილი, ნ. გავაშელი, ჯ. გარდოსანიძე, დ. ვაშაკიძე, ა. თოფურია, პ. პაპიაშვილი, ო. სარმასოვი, ვ. სიხარულიძე, ო. ფანოზაშვილი, გ. ფილია, ა. ღონღაძე, გ. შავგულაშვილი, გ. წერეთელი, გ. ხომერიკი (ყველა — თბილისი), ა. გაჩეჩილაძე (გაგრა), რ. კახიძე (ბათუმი), რ. კახიძე (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი), ა. მაჩიტაძე (სამტრედია), გ. მღებრიშვილი (რუსთავი), ნ. და გ. ფანჩულიძეები (ორივე — თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი), ა. ჩიქობავა (ცხაკაია), ე. ჭუმბურიძე (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზედა სიმონეთი), ხ. ქილაია (ზუგდიდი), ლილი ხელაძე, ფ. ჯანაშია (ორივე — ქუთაისი), ლეილა ნანეიშვილი, ბ. კონტრიძე, მ. თოფურია, თ. ღადუა (ყველა — ფოთი).

გთავაზობთ IV ტურის მოცემულობებს:

ამოცანა № 4



შამათი სამ სვლაში

ეტიუდი № 4



თეთრები ყაიმს აღწევენ

კონკურსის ჟიური.

„ჭადრაკის გზაჯვარედინებზე"

№ 8

გამოვიდა მე-8 ნომერი საქართველოს სპორტკომიტეტისა და ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის სპეციალური ბიულეტენისა „ჭადრაკის გზაჯვარედინებზე".

ბიულეტენი იხსნება ალექსანდრია — ლევიტინას მატჩის VII პარტიით, რომელსაც ოსტატი ელისო კაკაბაძე აანალიზებს. მას ავსებს ოსტატ ა. ბუსლაევის რეპორტაჟი თბილისის ჭადრაკის სასახლიდან — „მაყურებლები ღელავენ".

ვ. გოგლიძის III მემორიალის IX და X ტურების შეხვედრებს ეძღვნება დიდოსტატ ე. გუფელდისა და ოსტატ ე. უბილავას წერილები. მოყვანილია ამ ტურების რჩეული პარტიებიც.

ნომერში დაბეჭდილია, აგრეთვე, თ. გიორგაძის წერილი „ვინ და როდის გაგვაცნო ქართველებს ჭადრაკი" და საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას — „ყველაზე პატარებზე, ან ჩემს კოლეგა გოგონებზე", რომელშიც საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეებზეა ლაპარაკი.

ბიულეტენში გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის ინფორმაციები საჭადრაკო ცხოვრების შესახებ.

№ 9

ბიულეტენის მე-9 ნომერში დაბეჭდილია ალექსანდრია — ლევიტინას მატჩის VIII და IX პარტიები, რომლებსაც ოსტატების დ. ჯანოევისა და თ. გიორგაძის კომენტარები ახლავს. მკითხველი ინტერესით წაიკითხავს ა. ნიკოლაძის იუმორისტულ ჩანახატს „სთხოვეთ ლევიტინას".

ამ ნომერში გრძელდება ვ. გოგლიძის III მემორიალისადმი მიძღვნილი წერილების ბეჭდვა. ბაქოელი საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი გვესაუბრება XI ტურის პერიპეტიების შესახებ და რჩეული პარტიებიც მოჰყავს.

შარშან სოხუმში ჩატარდა გამოჩენილი პედაგოგის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. კარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი III საკავშირო ტურნირი. ამ შეჯიბრების შესახებ ბიულეტენში წერს ოსტატი ა. ბოკუჩავა. აქვეა მოყვანილი ტურნირის შედეგების ცხრილი და რჩეული პარტიების ნაწილი.

გრძელდება საჭადრაკო კომპოზიციაში საქართველოს II პირველობის მასალების ბეჭდვა. ამჯერად ნომერშია მრავალსვლიანი ამოცანების კონკურსის შედეგები.



3,5:3,5

VII ПАРТИЯ



VIII ПАРТИЯ

რამდენიმე სტრიქონით

✦ **ზნაური**

ჭადრაკში რაიონის მასწავლებელთა პირველობაში ჩემპიონის სახელი ზნაურის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ფილიევმა მოიპოვა.

ვ. მელიქიშვილი.

„ყველაზე ბედნიერი დღე..."

კოლორადო-სპრინგსი. 9 მარტი. „ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩვენს ცხოვრებაში", — თქვეს მოსკოველებმა ირინა მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა, როცა ფიგურული ციგურაობის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს მძიმე, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ ლამაზად, დიდი აღმაფრენით შეასრულეს ნებისმიერი ცეკვა და ამ სახეობაში I ადგილი დაიკავეს. 19 წლის ირინამ და 20 წლის ანდრეიმ ჩამოიტოვეს ამერიკელები ქ. ო'კონორი და ჯ. მილნზი, რომლებიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდნენ.

საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ პახომოვამ და გორშკოვმა ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლეს. მოისეევამ და მინენკოვმა კი ღირსეულად შეცვალეს სახელგანთქმული ჩემპიონები.

მოისეევას და მინენკოვის ქულათა ჯამია 205,48, ადგილების ჯამი — 13.

ვერცხლის მედლები ხვდათ ო'კონორსა და მილნზს — 205,12 (19). III ადგილზე გავიდნენ ინგლისელები ჰ. გრინი და გ. უოთსი — 199,86 (30). IV ადგილზე არიან მოსკოველები ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი — 198,38 (36), V — მ. ჩიჩა — ლ. ჩეზერანი (იტალია) — 196,32 (44), VI — ქ. რეგოცი — ა. სალაი (უნგრეთი) — 194,92 (48).

— გამარჯვება მით უფრო სასიამოვნოა, რომ უმძაფრეს ბრძოლაში მოპოვებული, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ვ. განს ი. მოისეევამ.

— მე მინდა აღვნიშნო მოისეევას და მინენკოვის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, — დასძინა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ტ. ტარასოვამ. — ამ წყვილის სტილი უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ ოლიმპიური ტურნირისთვის ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ტექნიკის კიდევ უფრო დასახვეწად. ვეცდებით ოლიმპიადისთვის შევქმნათ ცეკვა-ზღაპარი, რომლის ყოველი მოძრაობაც აზრით იქნება დატვირთული.

ვფიქრობთ, მსაჯებმა დაუმსახურებლად დაუწერეს დაბალი „ნიშნები" საბჭოთა მოცეკვავეთა მეორე წყვილს — ლინიჩუკსა და კარპონოსოვს. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ეს დუეტი III ადგილზე იყო.

წინადღით კი ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში ყველას აჯობა 19 წლის ჰოლანდიელმა ფიგურისტმა დ. დე ლეუვმა.

11 წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გამოჩენილმა ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ს. დიქსტრამ, რომელიც 1962-1964 წლებში „მეფობდა". და აი, ახლა კვლავ მისმა თანამემამულემ გაიმარჯვა.

დე ლეუვი ძლიერად, თანაბრად გამოვიდა „ფიგურული მრავალჭიდის" ყველა სახეობაში — 230,08 ქულა დააგროვა (ადგილების ჯამი — 9). ვერცხლის მედალი ხვდა ამერიკელ დ. ჰემილს — 224,53 (25), ბრინჯაოსი — შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს ქ. ერატს (გდრ) — 222,20 (31).

მოსკოველმა ლ. ბაკონინამ XV ადგილი დაიკავა — 200,30 (136).

ტაშკენტის ტრადიციული...

გასულ კვირას უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

ფინალური მატჩი I ადგილისთვის შედგა სსრ კავშირის პირველ ნაკრებსა და უნგრეთის გუნდს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს მთავარი პრიზი. ბურთები გაიტანეს რედკოუსმა (ლენინგრადის „ზენიტი") და ხაფსალისმა (ალმა-ათის „ქაირათი"). სულ ტურნირში ჩატარებულ ოთხ მატჩში გამარჯვებულებმა მეტოქეთა კარში 9 ბურთი გაიტანეს, თვითონ კი მხოლოდ ერთი მიიღეს.

ბრინჯაოს მედლები წილად ხვდა სსრ კავშირის მეორე ნაკრებს, რომელმაც დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 3:2.

V ადგილისთვის იბრძოდნენ პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს პოლონელებმა.

VII ადგილზე არიან უზბეკეთის ფეხბურთელები, რომლებმაც ანგარიშით 4:0 მოუგეს ფინეთის გუნდს.

ევროპის თასები ფრენბურთში

მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა კვლავ დაამტკიცა, რომ ბადალი არა ჰყავს კონტინენტზე: ჰოლანდიის ქალაქ ამსტელვენში გამართულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მეხუთედ მოიხვეჭა უძლიერესის წოდება. მოსკოველებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ყველა მეტოქე: სკ „ლაიპციგი" (გდრ), „სლავია" (ბულგარეთი) და „ზბროიოვკა" (ჩეხოსლოვაკია).

სამაგიეროდ, მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ქალებმა დათმეს ევროპის თასების მფლობელთა თასი, როცა ბელგიაში მიმდინარე ფინალურ ტურნირში ანგარიშით 2:3 წააგეს მატჩი გდრ-ის ქალაქ შვერინის „ტრაქტორთან". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო და პირველად მოიპოვა ეს საპატიო პრიზი.

მეათედ მოიგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელმა ქალებმა. ფინალური ტურნირი იტალიის ქალაქ კატანიაში ჩატარდა. მოსკოვის გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა ყველა მეტოქე: ბუდაპეშტის ნიმ-ი, ბერლინის „დინამო" და სოფიის „ლევსკი-სპარტაკი".

სპორტული ფილმების შეჯიბრება

რომი, 10 მარტი. იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში, 1965 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქში, ჩატარდა სპორტული ფილმების ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი. მაყურებელმა და სპეციალისტებმა ნახეს 17 ქვეყნის 40 კინოფილმი.

საბჭოთა ფილმმა „და ჩემპიონები ნუ იქნებიან" (ავტორები დ. პოლონსკი და ბ. გორბაჩოვი) მეორე პრემია დაიმსახურა.

ფესტივალის პირველი პრემია — „ოქროს ციყვი" — ხვდა ამერიკელთა ფილმს „მეკლდეურები".

საბჭოთა ოსტატების ნამუშევარი „წყალში ხტომა" დაჯილდოვდა პრემიით „საუკეთესო მხატვრულ-ტექნიკური გადაწყვეტისთვის". ფესტივალის პრიზები მოიპოვეს, აგრეთვე, საბჭოთა ფილმებმა „ნადირობა ოქროზე" (როგორც საერთაშორისო შეჯიბრებებისადმი მიძღვნილმა საუკეთესო ნამუშევარმა) და „გრიგალისა და ქარების წინააღმდეგ" (ოლიმპიური იდეების საუკეთესოდ გამოხატვისთვის).

ფესტივალის მონაწილეთა და სტუმართა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ტელევიზიის მიერ უკონკურსოდ გამოტანილმა ფილმმა „გიწვევთ, ოლიმპიადა!".

(საკდესი).

[illegible]-75

- ● *ოსლო, 8 მარტი. საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა, რომლებიც ტრადიციულ „ჰოლმენკოლენის თამაშებში" მონაწილეობენ, შესანიშნავი წარმატებით აღნიშნეს დღეს ქალთა საერთაშორისო დღე — 10 კილომეტრზე რბოლაში სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ისევე როგორც ხუთკილომეტრიან მანძილზე რბენაში, ამჯერადაც ყველას აჯობა სიქტივკარელმა რ. სმეტანინამ — 36.52. ისევ მეორე იყო მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, იჟევსკელი გ. კულაკოვა — 36.57. III ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ნ. ბალდიჩევა — 37.22.*
- ● **ტალინი, 8 მარტი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს შეჯიბრების უხუცესი მონაწილე, ტალინელი დიდოსტატი პ. კერესი — 9 ქულა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ისლანდიელი დიდოსტატი ფ. ოლაფსონი, ხოლო ქულით — მოსკოველი დიდოსტატი დ. ბრონშტეინი.
- ● გორკი, 8 მარტი. აქ დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. გაიმარჯვა ლენინგრადელმა ა. კარაპუზოვმა, რომლის საუკეთესო ნახტომი 104,5 მეტრს უდრიდა.

KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

თასები, თასები...

ინგლისი

შაბათს თასის გათამაშების მეოთხედფინალში ჩემპიონის „ლიდს იუნაიტედისა" და „იფსვიჩ თაუნის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. კომენტატორები აღნიშნავენ, რომ „ლიდს იუნაიტედი" კვლავ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდივით თამაშობს.

ლონდონში ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" მოუგო „არსენალს" — 2:0. ორივე გოლი ახალგაზრდა ცენტრფორვარდმა ტეილორმა გაიტანა.

II ლიგის გუნდმა „ფულჰემმა" მოუგო „კარლაილ იუნაიტედს" — 1:0, ხოლო „ბირმინგემ სიტიმ" ასეთივე ანგარიშით შინ სძლია „მიდლსბროს".

ჩემპიონატის მატჩებში გამოირჩეოდა „ბერნლისა" და „ლივერპულის" საინტერესო შეხვედრა, რომელიც ფრედ დამთავრდა — 1:1.

ლიდერმა — ლივერპულის „ევერტონმა" შინ მოუგო „ქუინზ პარკ რეინჯერსს" — 2:1. ანგარიში სტუმართა გივენსმა გახსნა, მერე კი მასპინძლებმა ლეჩფორდმა და მაკლინტოკმა თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს.

ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ევერტონი"	32	48:29	42
„ბერნლი"	33	56:46	40
„სტოკ სიტი"	32	48:38	37

II ლიგის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად მოუგო „ბოლტონ უონდერერსს" (1:0) და 4 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს „სანდერლენდს".

შოტლანდია

თასის გათამაშების მეოთხედფინალში გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად მოუგო „დამბარტონს" — 2:1. გადამწყვეტი გოლი გლაზგოელმა ვილსონმა გაიტანა.

ჩემპიონატის ლიდერმა — „გლაზგო რეინჯერსმა" ამასობაში ანგარიშით 1:0 მოუგო „სენტ-ჯონსტონს" და ახლა 6 ქულით უსწრებს ჩემპიონ „სელტიკს".

„გლაზგო რეინჯერსი"	27	73:25	46
„სელტიკი"	26	69:29	40
„ჰიბერნიენი"	27	47:29	37

გფრ

გათამაშების ლიდერმა, მიონჰენგლადბახის „ბორუსიამ" კვირას შინ ფრედ ითამაშა ესენის „როტ-ვაისთან" — 1:1. შესვენებამდე მასპინძელთა თავდამსხმელმა ჰაინკესმა ანგარიში გახსნა, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა" საკუთარ მინდორზე მოუგო „დუისბურგს" — 4:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს: კორბელმა, რორბახმა, გრაბოვსკიმ და ჰოლცენბაინმა.

„შალკე 04" გელზენკირხენში შეხვდა ჩემპიონს — მიუნხენის „ბაიერნს". საყურადღებოა, რომ პირველ ტაიმში ცნობილი ცენტრფორვარდი გ. მიულერი ასრულებდა... მცველის ფუნქციას. მასპინძელთა თავდამსხმელებმა ფიშერმა და კრემერსმა პირველ ნახევარში ორჯერ აიღეს მაიერის კარი, მაგრამ შესვენების შემდეგ მიულერმა თავის ჩვეულ ადგილზე ითამაშა და ორი საპასუხო გოლიც გაიტანა — 2:2. ჩემპიონი კვლავ XIV ადგილზეა!

„შტუტგარტმა" შინ წააგო „ჰამბურგერ შპორტფერაინთან" — 1:2. „კიოლნმა", რომელიც წლეულს ძალიან კარგად თამაშობს (მას სპორტული პრესა „საიდუმლო ფავორიტსაც" კი უწოდებს), საკუთარ მინდორზე სძლია ერთ-ერთ ლიდერს — დასავლეთ ბერლინის „ჰერტას" — 2:1.

სნაიპერთა სიას ლიდერობენ შვედი სანდბერგი („კაიზერსლაუტერნი") და ჰაინკესი („ბორუსია") — 17-17 გოლი. 15-15 გოლი აქვთ გატანილი გერდ მიულერს („ბაიერნი") და დიტერ მიულერს („კიოლნი").

„ბორუსია"	23	54:28	32
„ჰერტა"	23	42:27	30
„კიოლნი"	23	49:35	29
„ჰამბურგერ შპორტფერაინი"	23	36:23	29
„კიკერსი" (ოფენბახი)	23	51:41	29

იტალია

კვირას გათამაშების ლიდერმა — ტურინის „იუვენტუსმა" საკუთარ მინდორზე მოუგო „ჩეზენას" — 1:0. გოლი საჯარიმო დარტყმით დამიანიმ გაიტანა.

რომში ჩემპიონმა „ლაციომ" ფრედ ითამაშა „ნაპოლისთან" — 1:1. ანგარიში ნეაპოლელმა ბრალიამ გახსნა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძელთა ცენტრფორვარდმა კინალიამ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. 90-ე წუთზე ნეაპოლელმა კლერიჩიმ ვერ შეძლო 11-მეტრიანი საჯარიმოს გატანა.

„მილანმა" მოუგო „ინტერნაციონალეს" — 3:0. პირველ ნახევარში გოლები გაიტანეს კალონიმ და ბენეტიმ, ხოლო შესვენების შემდეგ „ინტერნაციონალეს" ვეტერანმა მცველმა ფაკეტიმ ბურთი მოათავსა... საკუთარ კარში.

„ბოლონიის" ცენტრფორვარდმა სავოლდიმ 89-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება ვიჩენცის „ლანეროსისთან" — 1:1.

საუკეთესო სნაიპერი კვლავ სავოლდია („ბოლონია") — 14 ბურთი. 10-10 გოლი აქვთ გატანილი პრატის („რომა") და კინალიას („ლაციო").

32 ქულით ლიდერობს „იუვენტუსი". 27-27 ქულა აქვთ რომის „ლაციოს" და „ნაპოლის".

ესპანეთი

გუშინწინ ბარსელონაში ადგილობრივმა „ესპანიოლმა" ლიდერს — მადრიდის „რეალს" უმასპინძლა. ლიდერმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მიგელ ანხელი, კამაჩო, ბენიტო, რუვიხიანი, დელ ბოსკე, ველასკესი, ბრაიტნერი, სანტილიანა, აგილარი, ნეცერი, მაკანა. 32-ე წუთზე ნეცერმა პენალტით ანგარიში გახსნა, ხოლო 44-ე წუთზე მანვე საჯარიმო დარტყმით მეორე გოლი გაიტანა „ესპანიოლის" კარში — 2:0. მატჩის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა.

„ლას-პალმასმა" საკუთარ მინდორზე მოუგო „რეალ სარაგოსას" — 2:0. მადრიდში ადგილობრივმა „ატლეტიკომ" აჯობა ბილბაოს „ატლეტიკს" — 2:0. გოლები გაიტანეს არგენტინელმა ერედიამ (პენალტით) და გარატემ.

„სალამანკამ" შინ სძლია ჩემპიონს „ბარსელონას" — 1:0. „ვალენსიამ" ასევე შინ მოუგო ხიხონის „სპორტინგს" — 2:0.

საუკეთესო სნაიპერია რობერტო მარტინესი (მადრიდის „რეალი"). — 12 ბურთი. მალიელ კეიტას („ვალენსია") და გარატეს (მადრიდის „ატლეტიკო") 11-11 გოლი აქვთ გატანილი.

„რეალი" (მადრიდი)	22	46:22	36
„რეალ სარაგოსა"	22	37:26	27
„ესპანიოლი"	22	23:26	25

ჰოლანდია

„ფშვ ეინდჰოვენმა" შინ მოუგო „ბრედას" — 1:0. ამსტერდამის „აიაქსმა" ასეთივე ანგარიშით სტუმრად სძლია „დე გრააფსხაფს", ხოლო ენსხედეს „ტვენტემ" ფრედ ითამაშა „მაასტრიხტთან" — 2:2.

„ფშვ ეინდჰოვენი"	23	57:19	37
„ფეიენოორდი"	22	68:20	34
„აიაქსი"	22	52:23	33
„ტვენტე"	23	40:24	29

პორტუგალია

ჩემპიონატის XXIV ტურის ცენტრალური შეხვედრა გიმარაიშში ადგილობრივ „ვიტორიასა" და ლიდერს — ლისაბონის „ბენფიკას" შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. გოლი ნენემ გაიტანა.

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლისაბონის „სპორტინგმა" საკუთარ მინდორზე მოუგო პორტუს „ლეიქშოენს" — 5:2.

„ბენფიკა"	24	49:8	40
„სპორტინგი"	24	48:17	37
„პორტუ"	24	41:25	33

ჩეხოსლოვაკია

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ბრატისლავის „სლოვანმა" სტუმრად ქულა დაკარგა „კომიცესთან" — 0:0.

„სლოვანი"	17	40:19	22
„ზბროიოვკა" (ბრნო)	17	28:24	20
„უნიონი" (ტეპლიცე)	17	19:18	20
„კომიცე"	17	39:26	19

უნგრეთი

ჩემპიონმა „დოჟა უიპეშტმა" სტუმრად ფრედ ითამაშა „შალგოტარიანთან" — 1:1. „ჰონვედმა" მოუგო მტკ-ს — 3:1.

„დოჟა უიპეშტი" (ბუდაპეშტი)	16	45:17	28
„ჰონვედი" (ბუდაპეშტი)	16	33:9	26
„ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი)	16	26:13	19

გდრ

XV ტურის ცენტრალური შეხვედრა ჩემპიონ „მაგდებურგსა" და ცვიკაუს „ზაქსენრინგს" შორის ჩემპიონის გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. გადამწყვეტი ბურთი 90-ე წუთზე გაიტანა მაგდებურგელმა პომერენკემ.

იენის „კარლ ცაისმა" შინ სძლია ბერლინის „დინამოს" — 3:2.

სნაიპერთა სიას ლიდერობენ პეტერი („ჰემი") და ფოგელი („კარლ ცაისი") — 11-11 გოლი. პომერენკე 10 გოლით მესამეა.

„მაგდებურგი"	15	36:17	24
„კარლ ცაისი"	15	28:13	24
„შტალი" (რიზა)	15	22:23	17

(საქ. ინფ.).

ყინულის მოედნებზე

მოსკოვის „დინამომ" მეცამეტედ მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ბურთიან ჰოკეიში. საკავშირო შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მოსკოველებმა ეს უმაღლესი ტიტული ვადამდე მოიხვეჭეს, როცა გუშინწინ თავიანთ სტადიონზე ანგარიშით 5:1 სძლიეს ყარაგანდის „ლიტეიშჩიკს". ამ მოგების შემდეგ ისინი მიუწვდომელი არიან დანარჩენთათვის, თუმცა კიდევ ოთხი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი.

ასევე ვადამდე არიან ცნობილი ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები. ვერცხლის ჯილდო ალმა-ათის დინამოელებს ხვდათ, რომლებმაც გასულ კვირას მონჩეგორსკში ანგარიშით 5:2 დაამარცხეს „სევერონიკელი". ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონები — სვერდლოვსკის არმიელი ჰოკეისტები. გუშინწინ ასკ-მ არხანგელსკში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „ვოდნიკთან" — 3:3.

იმ დღეს გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (ხაბაროვსკი) — „ენისეი" (კრასნოიარსკი) 12:2, „ლოკომოტივი" (ირკუტსკი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:3.

ჩემპიონატი 25 მარტს დასრულდება.

შაიბიანი ჰოკეის უძლიერესმა საბჭოთა ოსტატებმა ორი მატჩი ჩაატარეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. პირველი შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებს ბავარიის კლუბების „ფიუსენისა" და „მიუნჰენის" მოთამაშეთაგან შემდგარ გუნდთან ჰქონდა და გაიმარჯვა — 9:1.

მეორე ამხანაგურ მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებმა ანგარიშით 10:2 სძლიეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 684..

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 03607